ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულო

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ

საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

26 იანვარი

2022 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულოს

განათლების, კულტურის. სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

სარეგისტრაციო სია

26 იანვარი, 2022 წელი.

1. ირაკლი მელაშვილი - თავმჯდომარე. -
2. ტარიელ დვალიშვილი. -
3. გიორგი ლეჟავა. -
4. ლელა ჩორგოლაშვილი. -
5. გოჩა არველაძე. -
6. ჯონი თევზაძე. -
7. ილია მჟავია. -
8. გრიგოლ ჩიგოგიძე. -
9. მაია ტალაბაძე. -
10. ბადრი შენგელია. -
11. ბექა თევზაძე. -
12. მარიამ ბარბაქაძე. -
13. აკაკი მინაშვილი. -
14. ნათია პაპავა -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N1

ქ.სამტრედია 26 იანვარი, 2022 წელი .

მიმდინარე წლის 26 იანვარს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, ტარიელ დვალიშვილი, გიორგი ლეჟავა, ლელა ჩორგოლაშვილი, გოჩა არველაძე, ჯონი თევზაძე, ილია მჟავია, გრიგოლ ჩიგოგიძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, მარიამ ბარბაქაძე, აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე.
2. საკრებულოს წევრი ტარიელ ცომაია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. მწერალ-პედაგოგის (მცხ. ქ.სამტრედია, 26 მაისი ქ. N19) თეიმურაზ ჯულაყიძის განცხადების განხილვა.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. ა.(ა)ი.პ. ,,სამოქალაქო მოძრაობა დრო"(სამტრედიის რეგიონალური ბიურო) კოორდინატორის იმედო გოგავას განცხადების განხილვა. – (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიული ობიექტებისთვის (ქუჩები და სკვერები) მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (12) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (12) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის 1 საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო მწერალ-პედაგოგის (მცხ. ქ. სამტრედია, 26 მაისის ქ.N19)თეიმურაზ ჯულაყიძის განცხადება.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი მელაშვილმა, გოჩა არველაძემ, აკაკი მინაშვილმა,ლელა ჩორგოლაშვილმა, გიორგი ლეჟავამ, ტარიელ დვალიშვილმა, ნატალია მანჯგალაძემ,

ირაკლი მელაშვილი -როგორც მოგეხსენებათ, ეს პიროვნება არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი, ოცამდე წიგნის ავტორი. აქვს 35 წლის პედაგოგიური გამოცდილება. არის სერთიფიცირებული, უფროსი მასწავლებელი. ამჟამად მას აქვს მატერიალური პრობლემები, არანაირი შემოსავალი არ გააჩნია. მისი თხოვნაა დაენიშნოს სტიპენდია.

ბადრი შენგელია- ბატონი თემური არის შემოქმედი პიროვნება. რამდენიმე წიგნის ავტორი , ასევე კვალიფიციური სპეციალისტი. დაცული აქვს მეცნიერების ხარისხი, მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი. არის აქტიური პიროვნება, რომელსაც გულთან მიაქვს ყველა ადამიანის და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, რასაც გამოხატავს ემოციურად. არ შემიძლია არ ავღნიშნო, რომ თემურს ძალიან მძიმე ოჯახური მდგომარეობა აქვს. მეუღლე მძიმე სენითაა დაავადებული.

შესაძლებლობის ფარგლებში მიმაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინოს და გაუწიოს მას სათანადო დახმარება.

ტარიელ დვალიშვილი- მე ამ ოჯახს ძალიან ახლოს ვიცნობ. ურთულესი ოჯახური მდგომარეობა აქვს. მეუღლე მძიმე სენით დაავადებულია. ბრწყინვალე ქალბატონი. თუკი არსებობს რაიმე პრეცედენტი რომ მოხდეს ამ პიროვნების დახმარება.

გიორგი ლეჟავა-ბატონი თემური არის დიდებული, მაღალკვალიფიციური პედაგოგი. იყო პერიოდი როდესაც ის დიდი ჯიხაიშის კოლეჯში უტრანსპორტობის გამო ფეხით, ხან ველოსიპედით ქარბუქსა და ყინვაში დადიოდა, რათა ლექციები არ გაეცდინა ახალგაზრდებისთვის. მისი ყველა წიგნები, რომლებიც ხელთ უპყრია, აბსოლუტურად ყველა წაკითხული მაქვს. არ შემიძლია არ ვახსენო მისი მეუღლე, არაჩვეულებრივი ქალბატონი თამარ რაზმაძე, რომელიც ამჟამად მძიმე სენითაა დავადებული. რაღაცნაირად უნდა დავეხმაროდ ამ პიროვნებას, რომ რაიმე საარსებო წყარო გაუჩნდეს.

გოჩა არველაძე- გამოსავალი რომ მოიძებნოს, ამისათვის საჭიროა ნორმატიული აქტის შედგენა. კრიტერიუმების ჩამოყალიბება, თუ ვისზე უნდა გაიცეს სტიპენდია. მოვიძიე ინფორმაცია, მაგრამ ჯერ მსგავსი პრეცედენტი არცერთ მუნიციპალიტეტში არ ყოფილა.

აკაკი მინაშვილი- თემურის ძალიან მძიმე ოჯახური მდგომარეობა აქვს . აქედან გამომდინარე მე პირადად თანახმა ვარ დაენიშნოს ამ პიროვნებას სტიპენდია, თუკი არსებობს მსგავსი პრეცედენტი სხვა მუნიციპალიტეტებში და რათქმაუნდა კანონის ფარგლებში.

ლელა ჩორგოლაშვილი- ვინაიდან ბატონი თეიმურაზი ძალიან ნიჭიერი და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებაა, ძალიან კარგი სპეციალსტი. ამიტომ ვთავაზობ მას, ჩააბაროს სტატუსის ასამაღლებელი გამოცდა (მას ამჟამად უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს) ეს მას მისცემს შესაძლებლობას მოიპოვოს მისთვის საჭირო ადგილი რომელიმე სკოლაში. გარდა ამისა სტიპენდიის დანიშვნა, რომელსაც ბატონი თემური ითხოვს ვერ ხდება მარტივად. მსგავსი პრეცედენტი, როგორც გავარკვიეთ ბოლო პერიოდის მანძილზე არ ყოფილა. თუმცა ჩემი დიდი სურვილი იქნება , რომ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ბატონი თემურის ურთულესი ოჯახური მდგომარეობა, პატივი დავდოთ მის მოღვაწეობას და შევეცადოთ კანონის დაცვით და შესაძლებლობების ფარგლებში გავუწიოთ მას გარკვეული თანადგომა.

ჯონი თევზაძე- რაიმე სხვა გეგმა რომ შევიმუშაოთ, ან მოიძებნოს სხვა მუხლი, რომლითაც შეიძლება ამ პიროვნების დახმარება.

ტარიელ ცომაია- როგორც განცხადებიდან ცნობილია, ეს პიროვნება ითხოვს სტიპენდიის დანიშვნას. სტიპენდიის დანიშვნა ვერ მოხდება, რადგან კონკრეტული მუხლი ამისა არ არსებობს. ამიტომ შეიძლება მოვძებნოთ რაიმე ისეთი, რომლითაც შეიძლება ამ პიროვნების დახმარება.

ნატალია მანჯგალაძე- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ყოველთვის მიესალმება და მხარს დაუჭერს ყველა დამსახურებულ და წარმატებულ მიღწევას, მაგრამ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სახმსახურის ბიუჯეტში არ არსებობს მუხლი, საიდანაც მოხდება აღნიშნული სტიპენდიის გაცემა. სამომავლოდ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო იზრუნებს კანონის გათვალისწინებით შეიქმნას შესაბამისი სტიპენდიების მინიჭებასთან დაკავშირებული კომისია და მოხდეს შესაბამისი სამსახურის ბიუჯეტში გათვალისწინება ღირსეული და წარმატებული სამტრედიელი მოღვაწის სტიპენდირებასთან დაკავშირებით.

თემურ ჯულაყიძე- როგორც მოგეხსენებათ, ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ნიკო ლორთქიფანიძის პრემიის ლაურეატი, ოცამდე წიგნის ავტორი. ეხლა მინდა ავღნიშნო თუ რატომ შემოვიტანე განცხადება. დაუმსახურებლად რეჟიმის მიერ სამსახურიდან დათხოვილმა საარსებო წყაროსათვის ვთხოვე რამდენჯერმე, უკვე რამდენიმე წელია სტიპენდია დაენიშნათ ჩემთვის. თუმცა მერმა ვალერი ფოცხვერიამ არ დააკმაყოფილა, ამჟამინდელმა მერმა დავით ბახტაძემ კი მაშინ სინანულით განმიცხადა, რომ მის რჩევას არ მოუსმინა იმჟამინდელმა მერმა, ამჯერად კი მას მივმართე, როგორც მერს, რადგან კეთილი ნების მოსურნეს არ გაუჭირდებოდა კეთილი საქმის გაკეთება უსამართლოდ წამებული ღირსეული მწერლისა და პედაგოგისათვის. მინდა გულთან მიიტანოთ ჩემი ოჯახის მძიმე მდგომარეობა და კვლავ იფიქროს ჩემმა მშობლიურმა ქალაქმა საარსებო წყარო დამსახურებულად გამომინახოს სტიპენდიის სახით.

ირაკლი მელაშვილი- თქვენი განცხადება უყურადღებოდ არ დარჩება. შევეცდებით მოვიკვლიოთ ინფორმაცია, თუ რა კრიტერიუმებით შეიძლება გაგიწიოთ ფინანსური დახმარება. მაგრამ რაც შეეხება თქვენს მიერ შემოტანილ განცხადებას, ამ ეტაპზე ვერ მოხდება თქვენთვის სტიპენდიის დანიშვნა, იმიტომ რომ არ არსებობს მუხლი, საიდანაც მოხდება აღნიშნული სტიპენდიის გაცემა.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად, (12) ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის ბიუჯეტში ამ ეტაპზე არ არსებობს მუხლი, საიდანაც მოხდება აღნიშნული სტიპენდიის გაცემა.

აქედან გამომდინარე მწერალ-პედაგოგს (მცხ. ქ. სამტრედია, 26 მაისის ქ.N19)თეიმურაზ ჯულაყიძეს უარი ეთქვა დაენიშნოს სტიპენდია.

<u>*დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით*</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო ა.(ა)ი.პ. „სამოქალაქო მოძრაობა დროა"(სამტრედიის რეგიონალური ბიურო) კოორდინატორის იმედო გოგავას განცხადება.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი მელაშვილმა, ბადრი შენგელიამ, გოჩა არველაძემ, გიორგი ლეჟავამ.

ირაკლი მელაშვილი - მოგახსენებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, წინადადებით მიმართა ა.(ა)ი.პ. „სამოქალაქო მოძრაობა დროა"(სამტრედიის რეგიონალური ბიურო) კოორდინატორმა იმედო გოგავამ. რომელიც ითხოვს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ ობიექტებს (ქუჩებს, სკვერებს) მიენიჭოს საზოგადო მოღვაწეების: მარიამ (მარო) მაყაშვილი; გიორგი კვინიტაძე(ნამდვ.-ჩიქოვანი); კატო მიქელაძე; დიმიტრი ყიფიანი; კონსტანტინე მკურნალის სახელი.

განცხადებას თან ახლავს აღნიშნული საზოგადო მოღვაწეების მოკლე ავტობიოგრაფიული ცნობები.

ბადრი შენგელია- განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია არის ძალიან სენსიტიური კომისია, რომელმაც ყველა წერილობითი მომართვა იქნება ეს თუ განცხადება, ძირფესვიანად უნდა შეისწავლოს, რომ არ მოხდეს საკითხის წინაპლანზე წამოწევა. ყველა ობიექტი, რასაც მიენიჭება პიროვნებათა სახელები, სათანადოთ უნდა იქნას შეფასებული. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, ზემოაღნიშნული საკითხის გადადება უკეთ შესწავლის მიზნით.

გიორგი ლეჟავა- ჩემი აზრით არ არის თავისუფალი ქუჩა , რომელსაც შეიძლება სახელი დავარქვათ და უკვე არსებულ ქუჩებს სახელი რომ შევუცვალოთ, ვფიქრობ, რომ მოსახლეობასთან ძალიან დიდ წინააღდეგობაში მოგვიყვანს.

გოჩა არველაძე- კარგი იქნებოდა, რომ პირადად იმედო გოგავას მოემართა ინიციატივით, კონკრეტულად თუ რომელ ქუჩას მიენიჭოს საზოგადო მოღვაწეების სახელი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ზემოაღნიშნულზე და

დაადგინეს: კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად, (12) ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეცეს საკითხს მსვლელობა.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის თავმჯდომარე: /პავლი მელაშვილი/

სხდომის მდივანი: /ლია ყურულაშვილი/

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის
საკრებულოს
განათლების,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ
საკითხთა კომისიის გასვლითი სხდომის

ოქმი N 1

(ბ..ფურცლად)

სხდომის თავმჯდომარე: /ო. მელაშვილი/
2022წელი